



დამოუკიდებელი ინსპექტორის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2020 წლის 11 თებერვალი

დისციპლინური საქმე №202/19-3

ყოფილი მოსამართლის ----- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის თაობაზე

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში 2019 წლის 4 დეკემბრს -- -- მიერ წარმოდგენილი იქნა №202 საჩივარი -- -- მიმართ.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის საფუძველია, თუ მოსამართლეს შეუწყდა სამოსამართლო უფლებამოსილება.

დადასტურებულია, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 31 დეკემბრის №-- გადაწყვეტილებით მოსამართლე -- -- 2019 წლის 4 იანვრიდან, უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო შეუწყდა სამოსამართლო უფლებამოსილება.

გამომდინარე იქიდან, რომ -- -- აღარ ახორციელებს სამოსამართლო უფლებამოსილებას, იგი არ წარმოადგენს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ სუბიექტს. ამდენად, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს ზემოაღნიშნული მოსამართლის მიმართ არსებულ საჩივართან დაკავშირებით.

შესაბამისად, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ა :

-- -- ეთქვას უარი №202/19-3 საჩივარის საფუძველზე ყოფილი მოსამართლის -- -- მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე.

ზურაბ აზნაურაშვილი

დამოუკიდებელი ინსპექტორი